ოქმი:**ო08.37221861**

თარიღი:**05/07/2022**

ოქმი № 15
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 5ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ურუშაძე, ნ.მახარაძე, თ.ტუღუში, გ.ჩავლეშვილი, ალ.ღლონტი, გ.კილაძე, ა.ბურჭულაძე, პ გ.შარაშენიძე, ბ.კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი :გ.ღურჯუმელიძე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, კომისიის წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ, ხოლო საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა გ.ღურჯუმელიძემ. გ.ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს: ა)სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული ოჯახების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა, ბ) იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოების და პოპულარიზაციისკენ. გ) ადგილობრივ დონეზე თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, დ) დასაქმების ხელშეწყობა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი